2-5853/20
03-06-2020

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ სოფიო კილაძეს

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ „რასობრივი დიკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების“ პროექტის თაობაზე (№07-2/468; 01.05.2020).

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 3 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „რასობრივი დიკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების“ პროექტი.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) შესრულების შესახებ საქართველოსმე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიში მომზადებულია კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე. წინამდებარე ანგარიშის მიზანია რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (შემდგომში - კომიტეტი) მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სამუშაო ადგილებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება წარმოადგენს. მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს შეიქმნა სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად,

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპია, ამ სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსების და მისი ავტონომიურობის აღიარება, ასევე სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტია. ამავე კანონის მე-6 მუხლი ახდენს ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დეკლარირებას და პაციენტის მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წვდომა აქვთ ინფორმაციაზე სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებსა და სოციალური კუთხით არსებული შეღავათების, სხვადასხვა დაავადებებისა და მათი პრევენციის შესახებ; საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

მიგვაჩნია, რომ ანგარიშში უნდა აისახოს COVID-19 ის ეფექტური მართვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც მოსახლეობისათვის გარანტირებული სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის ნათელი და თვალსაჩინო მაგალითი მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, მოქალაქეობისა, წარმოშობისა, დაბადების ადგილისა, საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, რელიგიისა ან რწმენისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა ან სხვა ნიშნისა.

აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, კომიტეტი მომზადებულად მიიჩნევს საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების წარმოდგენილ პროექტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
დიმიტრი ხუნდაძე